წ ა ლ ე ნ ჯ ი ხ ა

მოდის საღამო, ეს დღე ილევა
და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა.
აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება
და წალენჯიხა ისევ ისეა.

მწვანეა ველი ახლო მდებარე
და გზაზე შეშა მიაქვთ ვიღაცებს.
ქრიან ბავშვობის მოგონებანი
და მიმაქვს ფიქრი წალენჯიხაზე.

ახლოს მტერია დაუნდობელი
და მოდის წვიმა, სუფევს ავდარი.

ჩანს წალენჯიხა – ჩემი სოფელი,
ჩანს წალენჯიხის ძველი საყდარი.

და ქარიშხალი სოფელს არ აცდა,
ამნაირ იღბალს არც მე ავცდები.
კვლავ ჭადრებია ეკლესიასთან
და იქვე ახლო დგანან ცაცხვები.

მოდის საღამო, ეს დღე ილევა
და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა.
აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება
და წალენჯიხა ისევ ისეა.